


მშენებელი

№ 27

1917

ყაზახთა სიუზდი



გუჩკოვი. დონის ყაზახებო! რუსეთის კეთილდღეობისათვის ჩვენ უნდა დავეყრდნოთ თქვენს შუბებს. ეს ერთად ერთი საიმედო ნიადაგია

პირველი კონფერენცია

პროლოგი.

კონფერენცია, კონფერენცია!
 ძველად სრულიად თუ არ გვესმოდა,
 დღეს, როგორც ვხედავთ, მოქალაქენო,
 კონფერენცია გამხდარა მოდა.
 დღეს ყველა ჯურის მოქალაქეთა
 ჯგუფებს, წოდებთ, თუ გინდ პარტიებს
 (ყველას სახელი რო ჩამოვწერო
 ვგონებ ეშმაკი არ მპატიებს).
 რეაქციისა სახსენებელი,
 დიდი ხანია არ ხსენებულა
 რევოლუციის მწველი სხივებით
 მრავალის გული გახარებულა.
 ბევრი ჩოჩორი გავივრებულა,
 „ზუბრთა ხბორები—გახარებულა,
 დიდი ხანია თავისუფლებამ
 ჩვენ მოგვანათა სხივი ზე მნათი
 და ნიაღვარმა ჭალეს ჩაღეკა
 მათი ბუნაგი, ხსენება მათი.
 დღეს ყველას უნდა გამოარკვიოს
 თვისი მიზნები და სარბიელი
 თუმცა მოხშრდა და კიდევ ვხედავთ
 ცხოვართა ქურქში დაძვრება მგელი.
 დღეს ისეთებიც კი დაფაცურდენ,
 (უნდა შენიშნო ეშმაკო მგონი!)
 ვინც სხვის „პროგრამას“ ეყარებოდენ
 დღემდის კი იყვნენ უპრაგამონი.
 საერთო ფერხულს არ ჩამოურჩენ,
 ჩვენი „ზუბრების“ ურქო ხბორები,
 რასაც მოგითხრობთ არვის ეგონოს
 ან პაროდია და ან ქარები.

1) ბოდიშს ვისღი „ეშმაკის“ და მის-
 გან მრავალ გზით გარდაცვლილ მკითხველების
 წინაშე, რომ ამ არა დეტერატურულ, ცხოვე-
 ლის სახელს ზირდაზირ ვასსენებ სხვაგან
 სიტყვა ვიწმამ მოქალაქებრავი სმარების უფ-
 ლესა მოიბოფა. იგი ზირეულად ისმარა დიტე-
 რეტურაში ჭეინემ „ვირო. ანზ.“ შემდეგ კი,
 ჩვენს თანამემამულე დალაქმს“.

კარი პირველი და უკანასკნელი

ერთხელ ვირებს კრება ჰქონდათ,
 მოყარათ მწყობრად თავი,
 (ყველა ხედავს შემოაკლდათ
 დღეს დიდ ყურებს საცოხნავი)
 კრება ჰქონდათ. მე მგონია
 (ან რა არის გასაკვირი!)
 რისთვის უნდა არ მივიდეს
 ხართან—ხარი, ვირთან ვირი?
 ვიცით ყველა კარგათ ჰშენის
 თავის ადგილს, თვის პარტიას,
 განაცხადეს: „მამულისთვის
 გულს მიუშვერთ ჩვენ მტრის ტყვიას!
 გთხოვთ ნურც ესე ტრაბახობა
 მკითხველებს ნუ გააკვირებს,
 სხვა ქვეყნებში ვირს უსმენენ...
 ჩვენც ვუსმინოთ ქართველ ვირებს.
 უწინარეს ყოვლის მისა
 მანდატები შეამოწმეს,
 თურმე ვირიც კი გაარჩევს
 თვის ამხანაგს, თავის მოძმეს.
 სამანდატო კომისიამ
 კრებას ასე მოახსენა:
 დღევგატებს, გავიგეთო.
 ურევია აქ ჯორცხენა.
 უმანდატოთ მოსულაო
 თანამოძმე ერთი ორი.
 ერთი—არა ქართველია
 და მეორე რუსის ჯორი.
 ერთიც კიდევ საექვოა,
 არც ვირსა ჰგავს, არც ჯორცხენას
 ვეღარ ხმარობს სრულად რუსულს,
 აქადრავებს სომხურ ენას.
 მოხსენებას მოჰყვა, თურმე,
 ძლიერ დიდი შეტაკება.
 აირია მონასტერი!
 აგუზგუზდა ვირთა კრება!
 ქართველ ვირებს, კარგათ ვიცით,
 სომხის ვირთა ჰმართებთ შუი,
 მათ ყოყინის კილოკავზე
 დასდევს რაღაც „ჩვენებური“.
 ითავადეს და გამართეს
 მითქმა—მოთქმა და კბნდობა
 სიტყვებს: სომხების გრძელ ყურებას

ამნაირი თავხედობა
 როგორ უნდა ვაბაჯით,
 როგორ უნდა მოუთმინოთ,
 ყრილობიდან გაეძვევოთ
 და ჩლოქები დაუშინოთ.
 დაიქადეს როგორც იყო
 მოიყვანეს სისრულეში,
 ჩვენი ვირი, სოფლის ვირსა
 სჯობს კიდევაც იყოს ლეში.
 საქმეს მორჩენ რა ეროვნულს.
 კანდიდატთა გასარჩევად
 არჩევნები დააჩქარეს,
 თავმჯდომარის ასარჩევად.
 ითათბირეს, წილი ჰყარეს,
 და როდესაც ერთი ვინმე
 კანდიდატად წოდებულნი
 თეთრ ყირმიზა გააშუვის
 აყროყინდა ვირთ კრებულნი.
 აეშალათ სადერდელი
 რა გაშავდა ვირთა ფაშა!
 მთლად დარბაზმა მიამახა
 გაშავებულს: ფაშა, ვაშა!
 ახლა ყუთი სხვას დაუდგეს
 (კანდიდატი მოიძიეს)
 შესაფერი თავმჯდომარეც
 ბოლოს ერთხმად აირჩიეს.
 (გთხოვთ, ნურავინ ნუ დამწამებს
 მათ გაცოცხვას, ან მათ გამობას,)
 დიდ ყურები ნდობის ბარათს
 უგზავნიან თვით მთავრობას.
 „გთხოვთ აწ ახალ მთავრობისა
 დამკველებად შეგვიგულოთ,
 სიტყვას გაძლევთ, როგორც ძველსა
 ისე ახალს ვეერთგულოთ.
 ერთგულობა შეჰკვიცეს და
 მამა ღმერთი დაიმოწმეს,
 დებეშებთ მიესალმენ
 ყველა ქვეყნის თანამომხეს.
 დაჰმეს ერთხმად კლასთა ბრძოლა
 უსასყიდლო აქეს შრომა,
 თოხარიკებს შგუთვალეს
 თავიანთი გულისწყრომა.
 მაგრამ კრებამ ვერ მიიღო
 სხვა სახე და ან სხვა ფორმა

სულ ამაოდ შეეცადენ
 მოეძებნათ ვირთ პლატფორმა.
 დელეგატნი მოსულიყენ
 საქართველოს ყველა კუთხით,
 ჩინიანი, თუ უჩინო,
 „გაბერილიც ბანკის წუთხით“.
 მაგრამ კრებას ის აძლევდა
 შნოს და ადათს, თუ გინდ იერს,
 რომ ბობოლა უმწვენებდა
 მხარს კრებაზე გულამშიერს.
 ეს უჩემოთ სხვამ შენიშნა
 მათ შესახებ, არა ორმა
 რომ მთელ კრებას უძებნია
 ერთი აზრი, ან პლათფორმა.
 ვერც ამაზე ვერ მორიგდა,
 ვერ დაადგა მთელი კრება,
 რომ ნიადაგ შერჩენოდათ
 ვირებს კერძო საკუთრება.
 წინ წამოდგა ორატორი,
 გილეშილი ვგონებ ღვინით:
 მე ძალიან მომხრეცა ვარ
 თუ ისურვებს ამას კრება,
 უსასყიდლოთ ჩამოგვერთვას
 ვირებს კერძო საკუთრება.
 გაუკვირდა ორატორსა
 რომ არ მისცა არვინ ბანი.
 ბოლოს ნახეს, „მემამულეს“
 ფეხთ არ ეცვა ქალამანი.
 საკუთრება კი მოისპოს,
 იძულებაც ტვირთის ზიდვის,
 თუ ჩემ მიწა მამულების
 უფლება მაქვს მე გაყიდვის.
 აქ გაყიდვა რო ახსენეს
 ბევრსა ტანში გააყროლა
 მე კი მიკვირს ორატორი
 კრებამ რისთვის არ ჩაჰქოლა.

ეპილოგი

გათავდა კრება, მაგრამ შერე რა
 სად არის მისი რეზოლუცია?
 არც თავმჯდომარეს და არცა მდივანს
 ასლები ჯერ არ გადმოუცია,
 ხოლო ჩვენც ვიცით ვირთა კრებაზე
 რა ითათბირეს, რა დაადგინეს
 დანარჩენიცა ხვალისთვის იყოს
 თუ კი მკითხველთა ეს არ გვიწყინეს.

მეფისტოფელი.

წითელი ბანტი

ერთ ნაცნობს შევხვდი. მივულოცე თავისუფლებას; ერთმა გარემოებამ მიიპყრა ჩემი ყურადღება. მკლავზე წითელი ბანტი არ ეყრა. დაინტერესებულმა ვკითხე:

— რატომ წითელი ბანტი არ გაკრავს!

— წითელი ბანტი რათ მიხნდა?

— როგორ თუ არ გინდა? ეს ხომ თავისუფლების ემბლემაა!..

— შენ ხომ გაკრავს ერთი? მეორეც მიიკარი თუ მოგწონს და მე-კი თავი დამანებე.

მისმა „ტონმა“ გაჰაკვირვა.

— კაცო, შენ ხომ რევოლუციონერი იყავი... უკიდურესი დემოკრატი... როგო ლაპარაკობ?...

— ვიყავი და ახლა აღარ ვახლავარ!

— ბანაკი გამოიცვალე? ეს ხშირად ხდება ხოლმე!.. მაინც რომელს მიეკედლე?

— არც ერთს!

— როგორ?

— ისე... დავდივარ ხატის ხარივით...*) ხომ არ შემათრევ, ძამიავ, რომელიმე პარტიაში?.. მე ვარ და არ მიხნდა!

— შენი ნებაა, მაგრამ მაინც ვერ გამოვიკა, რატომ იჩენ ასეთ უპატივცემლობას წითელი ბანტისადმი.

— რატომ? რომ ავიხსნა, შენც მოიგლეჯ და გადააგდებ!..

— საინტერესოა!

— წელან რომ გითხარი—„ხატის ხარივით“, მეტიკი—მართლაც ხარივით მაშინებს ეხლა წითელი ბანტი. ვისმე რომ დაუნახავ ზურგს შევაქცევ და გავრბივარ... შენც რომ ცოტაოდენი თავმოყვარეობა გქონდეს, მაგას არ გაიკეთებ! კაცო, რაც მე სისაძაგლე ვნახე და ვხედავ, იმის შემდეგ მაგას რავა დევიკერებ!.. კაცო, ამ ნიკოლოზ შვირებს ხომ ყავდა მომხრეები?!. უთუოთ ჰყავდა... აბა ამდენხანს რავა გამოგრდებოდა ტახტზე? შენ მეტყვი—დაიქირეს მისი მომხრეებიო!.. ვინ დაიქირეს? ერთი, ორი და—გათავდა! მართლა თუ ამ ერთი მუქა ხალხით იმავრებდა ტახტს და თქვენ ვერ

მოერიეთ—გროშით არ ღირებულა ირც ერთი პარტია!.. არა, საქმე იმ ერთ მუქა ხალხში კი არ არის, რომელნიც თქვენ დაიქირეთ!.. მომხრეები ბევრი ჰყავდა... ძალიან ბევრიც!.. მერე, კაცო, რა იქნა ეს ხალხი? სუყველა გარეველოლუციონერად? შენ იმდენად გულუბრყვილო ხარ, გულწრფელი გჯერა, რომ ნიკოლოზის მომხრე და მისი თაყვანისმცემელი სუყველა გარეველოლუციონერდა!.. ეს წითელი ბანტი ყველამ მიკრა მკლავზე... იაფია. სულ რამდენიმე კაპიკი უჯდება და ამით კი ღიდ ნდობას იხვევს... „კეთილ საიმედობას“... აი, შეხედე, იქ რო ქალარა კაცი ზის... ალექსანდრე მესამე რომ მოკვდა მოთქმით ტიროდა სოფლის ყრილობაზე და ორმოცი დღე ძაძებში დადიოდა, წვერი და თმა არ გაუკრეკია, პირი არ დაუბანია... სწორედ აფხაზურის წესით იგლოვა... ახლა შეხედე ერთი თოფი წითელი შილიაა შემოუხვევია მკლავზე!.. ჟანდარმს, გარადავიოს, პრისტავს—ყველა ბანტი აკერია!.. არაჰა ბაზოვი, კიტა ერევნის მოედანზე ავტომობილზე იდგა წითელი ბანტით და მუშებში აგიტაციას ეწეოდა!.. ხატისოვი—რომელიც გუშინ ნიკოლოზის ნატერფოლს ჰკოცნიდა და ვარანკოვის სურათი საათზე ბრელოკათ ეკიდა დღეს რევოლუციონერია. გუბერნიის კომისარი!.. აღარას ვიტყვი კიტა აბაშიძეზე. იგი მუდამ კანონის გარეშე იყო და მისი სოციალისტობა და რევოლუციონერობა ისე არა მწამდა, როგორც... მაგრამ იმასაც კი ისეთი წითელი გალსკუხი გაეკეთებინა, რომ ორმოცი წლის ნახედნი ხარიკი დაფეთებდა. პროვოკატორები?! კაცო, გუშინ ნიკოლოზის მზეს ფიცულობდა, მისი დამქაში იყო, საუკეთესო ამხანაგებს მსხვერპლად სწირავდა, იუდას როლს ასრულებდა—გამოცხადდა თავისუფლება თუ არა, მიიკრა წითელი ბანტი მკლავზე, დაჯდა საბჭოში და მთელი სახელმწიფოს ბედ-იღბალს სწყვეტდა!.. დაიქირეს, გაასამართლეს და—არაფერი!.. ფეხებზე არა ჰკიღია იმას შენი ციხე. დამწყვედულია და არავის არა ხედავს,—არავის არ სცხვენია... საკუთარი სინიღისი არ შეაწუხებს, იმტომ რომ სინიღისი მას არა აქვს!.. სინიღისი რომ ჰქონდა, განა პროვოკატორობას გასწყვედა? მე მაგას სხვანაირი სასჯელს გამოუნახავდი. ციხეში არ და ვამწყვედევდი; თავისუფლათ ვატარებდი, მაგრამ ი აუცილებელ პირობით, რომ მკლავზე ყვეთლო

*) „ხატის ხარის“ პატრონი არა ჰყავს, ისეა გაშვებული, რადგან იგი ხატსა შეწინააღმდეგებდა.

(დასასრული)

პატარა ფელიტონი

ბ ა ლ შ ი.

(უურ-მოკრული საუბარი).

ერთ საღამოს, რალაც მარცხათ,
შევიარე ბალში.

(„ბოლშევიკებზე“ ფიქრობდი
მე იმ შემთხვევაში).

მიველ, სკამზე ჩამოჯექი
იქვე—ხეივანში,

და მრავალი მწვავე კითხვა
დამებოდა თავში...

მაფიქრებდა: ვინ უფროა
სწორი ტაქტიკაში?
ვისი გეგმები სჯობია
დღეს პოლიტიკაში?..

და, შუბლზე ხელ-შემოდგმული, ფოთლებს
გავყურებდი,
მათ შიშინში თითქო კითხვებს მეც ვადასტურებდი...

ამ დროს გვერდით შემომისხდა
სამი ჩოხოსანი,

(ეტყობოდათ იყნენ კარგი
მეგობარნი, ძმანი).

შეჭქნეს დიდი კამათობა,
მსჯელობა—ბჰობ.ნი,

(მათაც ჰქონდათ, ალბათ, ბალში
თავისი მიზანი).

იქვე, ახლოს, მღვდელი იჯდა—
მანც გამოსცა ბანი,

(კიდეც იყვნენ „ორატორნი“
ვაჭარი და სხვანი...)

მოვიშორე შუბლზე ხელი, ვარცყავ მწვავე კითხვები,
მიმიზიდა იმ კრებულმა, ძალზე ვაკვირდები,
ვინ აღმოჩნდნენ?—ყველა ერთათ „მაჟულიშვილები“,
რომლებმაც გადმოალაგეს ჰრტყელ-პრტყელი
სიტყვები...

ჯერ შეამკეს, როგორც იცით, „მტრები“ დასელები,
ხოლო შემდეგ თვით შეუწყეს ვრთიერთსა ხმები!..

— არა, ასე არ იქნება
ჩვენი ცხოვრებაო,

ყველაფერი გვეკარგება
ხელიდან ქრებაო...

აღარც მიწა, არცა ფული,



როგორც წინა ნომერში გვქონდა აღნიშნული,
სურათი ამხანაგი ლევან დაღეშქელიანისა დიდი
გამოდგა და ერთ ნომერში არ დაეტია.

ბანტი ჰქონდა. ყვითელი, ხომ იცი, რისი ემზღე-
მაა? ჰო და ეგენიც, ასე ვსთქვათ, რევოლუციის
როსკიპები არიან! შენის ფიქრით, ვისაც ვხლა წი-
თელი ბანტი აკერია ყველა რევოლუციონერიო!
ვარწმუნებ, უმრავლესობა წმინდა წყლის მოწარქი
სტია, მაგრამ ამით უნდა დაამოწმოს თავისი „კე-
თილსაიმედობა“ და მე ეს არ მქირია, ჩემო ძმაო!
ემი „კეთილ იმედობა“ ჩემს გულშია და ჩემს
სინდისში!.. შენ რომ უფრო დინჯი იყო და
აუღლ-გრძელი—შენც ჩემსავით მოიქცეოდი“.
მოვშორდი თუ არა ჩემს ნაცნობს, წითელი
ბანტი მოვიხსენი და ჯიბეში შევიჩახე.

ქაფური.

აღარც სახლ კარიო,
 მაშ, სად მოვიხოხო სული
 ეს განამწარიო?!,
 ქუჩა-ქუჩა ხომ ვერ ვივლი,
 ვით პროლეტარიო,
 ფუფუნებაში აღზრდილი
 რას მოვესწარიო?!

თქვა ერთმა და... უკმაკურათ
 შეარხია ცხვირი,
 (ეტყობოდა, დიდი იყო
 მისი გასაქირი!)

თანაც ფეხებს მიწას სცემდა
 „აადინა ბლღვირი“
 მოსვირნეთ აკვირვებდა
 მისი დანაყვირი!..

— „დიახ, ტიტევ, რასაც ამბობ
 ყველა სწორიაო,
 მაგრამ .. ვაჰ, რომ ტყვილა ჯავრობ
 ჩემო ძამიაო,
 ვერაფერი ვეღარ გვიხსნის,
 დღეს სხვა ჟამიაო:
 გაჰქრა დროი ბატონობის,
 ლხინის წამიაო.

ისევ რაც გვაქვს, ეხლა ვქამოთ,
 სანამ ჩვენიო,
 შემდეგ მოხდეს, რაც მოხდება
 რა საწყენიაო“!..

უთხრა ტიტეს ტარიელმა,
 მწარეთ გაიღიმა,
 ამ დროს მყისვე შესამეძაც
 სიტყვა დაწვიმა:

— არ შევდრკებით, ხმლებს არ დავყრით,
 ჩვენცა ვიბრძოლებთო,
 სოციალისტთ პარტიებსა
 გავანადგურებთო!..

ჩვენც გვაქვს ჩვენი მიზან-პრწამსი
 მისთვის თავს დავდებთო,
 საკუთრებას არვის ვუთმობთ
 არც ვ:ნაწილებთო...

ჩვენ გვჩვევია ლხინ-ქეფი
 მითი ვსულდგმულვებთო,
 ჩვენის „მრავალ ჟამიერით,,
 ყველას ვაკვირვებთო!..
 რას მიჰვიან გლეხთან ერთათ

ძმობა-ერთობაო, —
 რომელი ქკუათ-მყოფელი
 ამას ემხრობაო?!

ხუცესმა სთქვა: „მრეველი ჩემი
 არას იძღვევაო,
 ოჯახში წვრილი ცოლშვილი
 უქმელი კვდებოა...
 აგი ჩემი ანაფორაც
 ცვდება, ხუნდებოა,
 ახლის შექენა ამ ჟამათ
 არ შეიძლებაო!..

რა ვქნა, რაში განჯომადგა
 ხალხის ერთობაო?!
 ყველა—დიდი თუ პატარა
 გვიბატონდებაო“!..

ვაქარმა სთქვა: „ომის გამო
 მთლათ დავზიანდიო,
 მე მოეხუცდი, აწი შრომიო
 რაღას მივალწიო?!

რაც-კი მქონდა საქონელი
 მუქათ ვფლანგავდიო,
 სხვა ვაქრებზე იაფათა
 მე ვასაღებდიო...
 დაბოლოს, სულ კავდარობდი
 აღარას ვყიდიო,
 საღამო:ით აქ მოვიდივარ
 და ბაღში ვჯდებოი!
 ჩემს ძველ დაღღში დასუნსულებს
 ეხლა თაგვებო“!..

გამეცინა და ავღექი,
 რადგან ბინდებოდა,
 ხოლო იქ კი საუბარი
 ისევ გრძელდებოდა...

აღარ ვიცი, რით დათავდა იმ „გმირების“ ბქობა
 ეს ცხადია: პრინციპებში ჰქონდათ მათ ერთობა,
 ალბურითნი.

ჭრელი ამბები

მისი შთაბეჭდილებანი

მგოსანი ი. მკვლდიშვილი უცხოეთიდან (ბეკოვიდან) თფილისში ჩამოვიდა და „ასი წლის ქვეთფილისისი ეუცხოეთა“, ვეღარ მოითმინა!

გასწია სოფლისკენ, რომ... სოციალ დემოკრატებზე „ხეობლოური“ ეწერა.

„მიუგასლფავდი სოფელს. თავთავით დატვირთული ვანები, მწვანე ალვის ხეები წელში იხრებოდნენ და მდაბლად საღამოს მასლავდნენ. ვერხვნი და ტირიფნი ათი ათასი მწვანე სელით ტაშს მიკრავდნენ, ხოლო ნიაფი მამარფეკვევდა სურსელებს... ვსუნთქავდი საამოდ და მინდოდა სუთთლად ჩამესუნთქა მთელი ბუნება“.

თუ გახსოვთ ავთანდილსაც ასეთი სიამით ეგებებოდა ბუნება, როცა ის ფრიდონის სანახავათ სიმღერით მიდიოდა.

„რა ესოდის მღერა ემისა, სმუნად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაცან წელით ქვანიცა გამოსნდიან, ისმუნდიან, გჰკვირდიან, რა ატირდეს ატირდიან იმღერს ღექსთა საბრალთა, ღვარისკებრ ცრქული სდიან“.

განსხვავებმა შოთასა და ი. მქედლიშვილს შორის მხოლოდ იმაშია, რომ შოთა სხვაზე სწერს ამ ღექსს, ხოლო მქედლიშვილი კი თავისთავზე.

გარდა ამისა მგოსანს სრულად არა აქვს აწარმოებული მისი შეხვედრის სურათი:

„სიმორცხეთა დეკუეული კუდსა დაბლა დიხრიან, დონნი დიხვით, წინამურით, აგრარულსა მიწას სთხრიან, ვინნი სდგანან ქანდაკვით ეურით ბუხთა განიურნი, სოფლის ბატნი, ინდოურნი მონილეებით თავს მიკვრან“.

ამ ტაეპში ყველაზე საინტერესო დინგიანი ღორის მოქმედებაა, რომელიც აგრარულ მიწასა სთხრის. საქმე იმაშია, რომ მგოსანიც სწორეთ აგრარულ ხასიათზე დადგა, როცა სოფელში მივიდა და გლებებს მოახსენა:

— აბა ახლა ეს მითხარი ის კი არ გინდა, რომ მიწა ჩამოკერეთვას და მერე იჯარით მოკეტეს, რომ მიწა შენი ადარ იყო, რომ შენ სხვისი მუშა იყო, რომ გადატკადე, განროლეტარდე და ქადაქის მუშისავით უსხლ-კარო დარჩე?

— აბა ეგ ვერ მომეწონა, მომიგო მასწავე, ეგ ძალან ცუდი აზრებია.

— ცუდი აზრებია და აი მკასას თსოფლებს სიფლად-დემოკრატებო.

აი აგრარული პროპაგანდა სოფლად გასული მგოსნის ი. მქედლიშვილისა. უმოჩინოესად გთხოვთ ნუ გაპიცხავთ პატრიცემულ მგოსანს, ვინაიდან ცოტა ქვემოზე ამისა ი. მქედლიშვილი სწერს:

„თანაც ვრწმუნდები, რომ ჩვენ საკუთარი ჭკუით კარგს ანაფერს არ მოვინდომებთ, რომ ჩვენ (ფედერალისტებზე ღმარავებს) ბნელი, შეუკნებელი ბნობ ვართ... თუ რამე კეთილს ვეღირსეთ, ეს ჩვენი სურვილის წინააღმდეგი ამბავი იქნება და ჩვენი შვილი შვილები შეცდომით იტუვან ჩვენზე: ეოხად ჩვენო წინაბრებო. მაგრამ ჩემ წერილს მე იმისათვისა ვწერ, რომ შესაფერისად ბეკურთხონ საფლავი“ (სახ. ფურ. 83).

როგორც ხედავთ განზრახვა ჩინებულია და სწორათ გამომანგარიშებული. ყოველივე ექვს გარეშე ასეთი წერილისათვის ავტორს „შესაფერად უკურთხებენ საფლავს“, მაგრამ რატომ ჰგონია მას, რომ ამ სამსახურს მხოლოდ შვილი-შვილები გაუწევენ. ვარწმუნებთ, რომ ამ მხრივ მისი ნაწარმოები გაცილებით აღრე დაფასდება.

სამართლებელი.

სასამართლო.

(სამღებლი ამბავი).

სიღნაღის ერთ მომრიგებელ მოსამართლესთან, ამ რამდენიმე ხნის წინათ ირჩეოდა საქმე, რომლითაც ერთ ანაგელ კაცს, ორივე თვლით ბრმას, აბრალეზდნენ ღორების მოპარვას თავის გოკვებიანათ.

პირველ დაბარებაზე დამნაშავე ბრმა არ გამოცხადებულყო, ხოლო მეორე და მესამე დაბარებაზე გამოცხადდა და წარსდგა მოსამართლის წინაშე.


მოსამართლე (გაჯავრებით). შენ, ეო, რა ამბავია რო ძლივს ეხლა მობრმანდი.

ბრალდებული. მომიტყევეთ, ბატონო, ორსულათ გახლდით და აღმართებზე ამოსვლი ვერ გავბედე...

ც ე ლ ე ფ ო ნ ი

„ეშმაკის შათრახის“ რედაქციას აუსრულდა დიდი ხნის ნატვრა! ფოსტა ტელეგრაფის კომისარმა ამხანაგმა ი. მამულიამ დაუდგა მას ტელეფონი ახალი სისტემისა და ამხ. ეშმაკს საშუალება ეძლევა

ელაპარაკოს რედაქციიდან ყველას, ვისთანაც კი მოესურვება. აი ახლა, ამ სურათზე ელაპარაკება იგი თვით ფოსტა-ტელეგრაფის კომისარს.



ეშმ. კი. ახირებული საქმეა, ამხანაგო, ელისა ბედის ქუჩიდან ანდრეევის ქუჩამდე ჩემის ანგარიშით სულ რაღაც 300 ნაბიჯია.

კომისარი.. მართლაც რომ საშინელი სიტყვები დაიწყო.

ეშმაკი. ჰო და იმას მოგახსენებდი, ს-მონს ვუგზავნი ჟურნალს.

კომისარი. ა? ჰო, ჰო! როგორც ვატყობ ანარქია დიდი იწყება.

ეშმაკი. მე ჟურნალზე მოგახსენებ. ვდებ ყუთში შაბათ დილით, მას კი მისდის ან ოთხშაბათს, ან ხუთშაბათს.

კომისარი. ეს ბოლშევიკები აღარ ვიცი რა გზას ადგიან.

ეშმაკი. მე ჩემი საქმე უფრო მაწუხებს, ამხანაგო, სულ რაღაც სამას ნაბიჯზე ფოსტას ხუთი-ექვსი დღე აგვიანდება.

(შემდეგი იქნება).

მოსამართლე (უფრო გაჯავრებული, თარჯიმანს). რას მიჰპარის ეს ქიხიველი ბრძივი... ჰკითხე: ვის გაუგონია კაცის ორსულობა?

ბრალდებული (დინჯათ). რათა სჯავრობთ ბ-ნო მსაჯულო! მეორეთ რო დამიბარეთ მაშინ ლოგინში ვიწეკი. აი, ავდეკი და ეხლა მესამე დაბარებაზე გეხელოო.

მოსამართლე (უფრო ცხარობს, ცოფებსა ჰყრის, თარჯიმანს). ჰკითხე ერთი მაგ მხეცს. გაუგონია ვისმე კაცის ორსულობა და მოლოგინება?

ბრალდებული (სრულებით არხინათ და გულ დინჯათ) ბაჭონო მოსამართლევ! თუ კი მამაკაცის ორსულობა და მელოგინება არავის გაუგონია, თქვენ კი ოდესმე გაგიგონია; რომ ორივე თვლებით ბრმა კაცმა ღამე ქურდობა დაიწყოს?..

მოსამართლე. ?!?!

რამდენიმე წუთის შემდეგ მოსამართლემ ბრალდებული უსინათლო გაამართლა.

ხელიკი.

მორიბი მარცხი



სოციალ-დემოკრატების მიბაძულობით, ბათუმის ფედერალისტებმა ციზოვეს ერთი ავტომობილი, ააფრიალეს ზედღროშა და დაიწყეს აგიტაცია საქალაქო არჩევნებისათვის. მაგრამ მათ ბედი არ სწყალობთ. მოულოდნელათ გზათ ძალღი შემოქცლილათ საქმე სწარმოებს.

სოც. დემ. კონფერენცია



- | | |
|----------------------|--------------------------------|
| 1) ამხ. ვასო წულოძე. | 4) ამხ. ვ. ქითავა. |
| 2) ამხ. ჯაველიძე. | 5) ამხ. იეკოვი. (მომხსენებელი) |
| 3) ამხ. ბერნშტეინი. | 6) ამხ. თ. გოგოლაშვილი. |

გურული სცენა

გამარჯობა ვასილა შენი! — ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო ბასილა!

— საით მიგლიჯინობ ამ დილაზე ასე ფინთიხვით, ხომ არაინ მოგდევს უკან?

ვესილ. — ეხ, ძმაო, რაღას მეტუმრები, ჩემ სიკოცხლეს სიკვდილი ჯობია. დეიქა იმის ოჯახი, ვანცხამ მე ქალი შემართვია და წვრილ კოლში ჩამავლო. სად მივალ და ჩოხატაურში, ახლა არ დეიჯერებ შენ და, ჩემი რვაი ბიჭი და სამი ციკაი ნუ მომიკვება, ერთი კაკალი სიმინდი არ შეიძევა ჩემსას. ამ დილას რომ შემომხევიენ ბაღენი „მშია მშია“ ძახილით კინაღამ გავქანჯალდი, ვეცი სამკაღე კალათას, იქნება ამ დილას ეყოს ბაღენებს მქადი მეთქი, აფერი არ დამიხვდა შიო, გამოვრეკე ფინჩხები სუფრაზე და მიუსიე ბაღენები ქუქულენსავით ასაკენ კავათ. — ა, ბაბა, ახლა დეიპურეთ სული და სასადილოთ ქე მოგიტან მეთქი, ვუთხარი და გამოვარდი გოყვიით ვარეთ. ერთი ფუთი სიმინდის ფასი ქე მეკლო ჯიბაში, და გამევიქეცი ჩოხატაურში... ნეტაი, როის იქნება იგი, რაცხა მიწას მოგვიმატებენო, იგი რომ მომესწრებოდეს დროზე და ერთი მქადით მაინც გავაძღებდე ბაღენებს, მეტს არაფერს ვჩივი...

ბასილა. თუ კაცი ხარ ვასილა, ერთი შაი მიწის პაგრაბა რომ არის ამიხსენი, შენ ქე გესმის ჩემზე შეტი, რაცხა კრებებზე ქე დევთარევი, მარა აი, ცოციალისტური პაგრაბა არ ვიცი. მაინც, საიდან მეცოდინება, საწვევო ფულის გადახდით და მარტო კრებებზე სიარულით ხომ არ ისწავლი და სხვაი, არა კაცი არ არის, რომ რამე ამიხსნას.

ვასილა. მიწის პაგრაბა ახლა ჩემო ბასილა ორ ნაირია: მიწის ცოციალიზაცია და მიწების ადგილობრივ თვითმართველობების ხელში გადასვლა.

ბასილა. კი, მაგრამ, რაი არის მერე შაი ცოციალიზაცია...

— ცოციალიზაცია იგი არის, რომე ყველა მიწე-ბი ჩამოგვერთმევა ყველას და საერთო იქნება.

— რავა ჩამოგვერთმოვა, მე რომ ეზოს ვაკტები და სისხლი და ოფლი ჩავაკტე, იმ ეზოს ჩამომართმევენ, მერე მე სათ გამიშობენ?

— შენ ქე მოგცემენ სხვაგან სამუშაოს საზოგადო მიწებზე...

— არა ძამია, შაი ცოციალიზაცია მე არ მომწონს, ტყულებ არავი გიფიქროს გულში მიწის ჩემდა ჩამორთმევა თვარა ცოცხალი ვერ გადაათრევეს წელს ეზოდან, მე ჩამომართმევენ კი არა, რაცხა ჩემ ნაკვტავ ნაწყტავ ეზოს და მიდამოზე თუ მომიმატებენ რამეს იგია კაი, თუ არა და ქე ვეგდლო მე ჩემდა...

ვასილა. შენ რომ ჩივი ახლა ბასილა, მასე მეორე რო გითხარი იგია, იმას მიწების თვითმართველობების ხელში გადასვლა, ანუ მუნიციპალიზაცია თქვია...

ბასილა. მუნიციპალი არის თუ რაცხა მასე თუ არის ხომ კაი, თუ არა და რაცხა ცოციალიზაცია არის, იგი არ მინდა ძმაო...

— ნუ გეშინია ბიჭო, ბასილა, მევეთმინოთ პაწაი და ყორიფელი მოგვესწრება. — ნიკოლოზს თუ ჩამოავდებდენ ძირს, გეგონა არა კაცს არ ეგონა თუ ასე მალე გადმოაყინწისთავებდენ ძირს...

ბასილა. ხომ გოჯოხეთის გაქიკრება მადგანა თავზე, მარა ყველაფერს გაუძღებ რომ შინ, შეგვენებული ჩემი ცოლი, ხვარამზე რომ მაძლივდეს მოსვენებას, არ მომცა საშველი, ვარატორი რეისა არ ხარ, ქვეყანა ორატორობსო, კომიტეტი, ან კომისარი რეისა არ ხარ, ქვეყანა კომისარიაო... ვეუბნები, რა გინდა შენ წყეულო, რა მაქვს სახატარო, ინჩი არ მესმის მეთქი.

— რა დიდი საქმე უნდაო, შედექი ჯიკვზე და ნიკოლოზე ფინთი იყო, დეიხავსა, დაძველდა იგი ტარტამოზი და ქე გადმოავადეთ ძირს თქვა, ასე თქვი და მეტი არ გინდა აფერიო. მასე ქე თქვე ყოლიკცმა და მე რეღაიზა გვეიმეორო მეთქი... კი მარა შენც თქვიო... მე მცხვენია, შენ რომ ჩემი ქმარი ხარ, წინეთ ცოციალისტობას ვერ იტყოდი, ისე იყავი მოკუნეული შიშითო, — რა გიქირ და ყოფილიყავი უწინაც ცოციალისტი, თუ დავიქირავდენ, ქე დაბრუნდებოდი შინ ახლა, რავარდ სხვაი დაბრუნდენ შინო...

— შენ წყეულო, აგი რა ვიცოდი თვარა რავა არ ვიქნებოდი ცოციალისტი რომ, მგონებო და ციმბირიდან დამაბრუნებდენ, ჩვეილოდი აგე ჩოხატაურში და ივასიუკი რო იყო პრისთავი, ერთს მაგრათ ავადებდი ყპაში, აგერ ოზურგეთში ხაკუსოვს ბიგბეგვავდა კარგათ და თუ გადამასახლებდენ ახლა ქე მევილოდი სახლში, მარა აგი ვინ იცოდა ცოლშვილი მეცოდებოდი, თუ ვიკუნებოდი სახლში, აგი თქენი გულიზა ვიკუნებოდი, თვარა მერეის მეშინოდა, თუ არის ერთი უტრინგი გურული, მეც ქე ვარ...

ლუკაიეს ობოლი.

შთაგეჟღილება.

(ლაგოდეხის რაიონი).

ლაგოდებიდან მოვიდვიარ,
მომაქვს ახალი ამბები,
მხოლოდ ამას გთხოვ მკითხველო,
კრემლით ნუ დინამები,

საკვირველია, ღმერთმანი,
ამბები, რაც იქ ხდებაო,
შელამებისას, წყლის ახლო,
სადაც მელეღი ძვრებაო,
თავსა იყრიან ქალწულნი:
შავ-თვალა, გულ-მკერდ ღიაო,
დაბალნი, მსხვილნი, მსუქანი,
კეკლუცნი, როგორც იაო.
ხვანცარიკობენ, ხარობენ,
ხტუნავენ ვითა კალია,
უსაზღვრო არის იმათი
კისკისი და ხვარხვალა.
შეყვარებულთა სიაში
ეწერებიან ბლომათა,
(თუ ცა ხანდისხან ქუჩაში
ირაზმებიან ომათა).

ერთ ვაჟზე, ათი დაჰქროლავს,
ერთ ქალზე, ოცი ვაჟია,
(ღმერთმა უშველოს მთავრობას
რომ არ დაადო ბაჟია).
ეშმაკო? თავისუფალი
აწ კი შენ გაძვეს ვალია.
შენ გმართებს იმა ქალწულზე
ფრთხილად გეჰიროს თვალთა.
მაგრამ იცადე, ძმობილო,
მკაცრათ მოპყრობა ცუდია,
თორემ ვახდები მერწმუნე,
ძველი რეჟიმის კუდია.
შენც ხომ, ძვირფასო ეშმაკო,
მრავალი გამოგვიციდია, —
სატრფოს გულისთვის ცხრა ღამე,
ტყეში, ჩირგვებში გიცია.
შენ არ იყავი, თუ გახსოვს,
ცხრაას თექვსმეტსა წელშია,
რომ მიგვიტოვე სამეფო
და ჩაგყარე კუპრის ცეკლშია.

კახეთში სატრფო იპოვე
თვალ ქრელია, მოკუხულია,
პუდრით და უმარილოთა
შეთხუზნულ-შემურულია?
აი ამისთვის, მეცა გთხოვ,
რადგან შენც ვადევს ბრალია,
შეუმსუბუქო შეცდომა,
არ გახდე მათთან მწყრალია
გაჰკარი შენი მათ ახი,
მხოლოდ გულ დანამწვიდია,
გაჰკარი დათვლით, თვითუღოს
ორას ორმოცდა შვიდია.

ქაგნელი ბზიკა.

რეცენზია

(ბათუმიდან)

სომეხმა და ქართველმა მსახიობებმა ამა წლის
17 ივნისს წარმოადგინეს „რაც გინახავს ველარ
ნახავ“. წარმოდგენამ დიდებულათ ჩაიარა. მსახიო-
ბებმაც ბევრი იცინეს, და ჩვენც ბევრი გვაცინეს.
ერთ მაყურებელთაგანს გული შეუწუხდა ნამეტანი
სიცილისაგან.

მადლობა ღმერთს, როლები კარგათ არ იცო-
დენ, თორემ ბევრი მაყურებელთაგანი დაიხოცებოდა
სიცილით.

სამწუხაროთ უნდა ავღნიშნო, რომ: ფარდის
აწვეას თავის დროზე ვერ ახერხებდენ. (აღბათ ასა-
წვევი ბაწარი თუ გაუწყდათ).

ითამაშეს „რძალ დედათილის ჩხუბი“. „ცოლ-
ქმარის ჩხუბიც“ უნდა ეთამაშათ, და ამასთანავე
უნდა ემღერათ „ვაი ვუის“ ხმაზე კუპლეტები ბა-
თუმის ცხოვრებიდან, მაგრამ გოძიაშვილმა მოულო-
დნელათ გამოგვიცხადა: „ველარ მოგართვითო“.

ცოტა ხნით საზოგადოებაში კამათი გაიმართა:
მაშ რისთვის გამოაცხადეს „ანონსები“, აფიშებში,
„ლექტურებში“ და პროგრამებშიო. მაგრამ მალე გა-
მოარკვია პატივცემულმა მოქალაქე ღენოჩქა პუდ-
რაძისამ რომ: ეს მეტის-მეტე ბეჰედითი საქმის გაზ-
ვიადება „რეკლამის“ ხათრისათვის ჩაუდენიაო.
მხოლოდ ამხანაგმა კეკელი პოდრუჩკოვის ასულმა
კი დასძინა: „რეკლამაც“ აღბათ ჯიბეების განსადი-
დებ-გასათართოვებლათ დასქირდებოდათო.

დასასრულ ჯიბილმა წაიკითხა მისი ცნობილი სცენები „ლაქიობა, დამცკი პარტნოზობა და ნუმ-რების ავთომყოფობა“. ჯიბილს ჩვეულებათ აქვს რომ დაპირებული დანაკლისი მისი სცენებით შეეფასოს. კარგია...

მსახიობი კობახიძე სცენაზე ქალებთან არში-ყობის დროს ცხრამეტჯერ წაიქცა, როცა რომ უნ-და წაქცეულიყო თვრამეტჯერ. მარტილი არც თუ ასე იაფია.

ისკანდერ.

ხმა არ დაჰკარგოთ

- ეგ რასა შევები, ნიკო ამ სიძვირის დროს რამდენი კვერცხი გავიჩანაგებია?
- რას იზამ მეგობარო, ვგრე გვირჩევენ...
- ვინ კაცო, ექიმები?
- რომელი ექიმები, აღამინაო, მე საექიმო რა მჭირს. მე მხოლოდ გაზეთებს ვუჯერი და იქ კი ერთხმათ გვიძახიან:—**ეცადეთ ხმა არ დაჰკარ-გოთო**,—მგონია უმი კვერცხი კარგათ ინახავს ხმას.

დემოკრატიული რესპუბლიკა.

შიდა რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიაში გლეხთა მიტინგი გაიმართა, რომელზედაც ხალხს აუხსნეს და გააცნეს „დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშ-ვნელობა.“

— ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით დემო-კრატიული რესპუბლიკის და ახლაც მხარს ვუჭერთ მას, მხოლოდ მოვითხოვთ, რომ მეფე ცოტა უფრო ჭკვიანი დაგვირჩეს“.ო განაცხადეს გლეხებმა ხ.ნ გრძლივი ლაპარაკის შემდეგ.

ნამდვილი მოაზაბე

(ძღვნად ჯუჯუ ხურცილაგას)

დაჰკრა სხივმა... დროებამ
ჰშვა ახალი ცხოვრება.
წინამძღოლი უნდა ხალხს
ყველას მოეხსენება.

და ჰა ჯუჯუ წინამძღვრად
მოველინა ბანძელ ხალხს
ვით შეჰმვენის ნამდვილს შვილს,
იხდის სრულად თავის ვალს.

ყვირილი კარგად იცის,
ხმა აქვს მეტად მჭუხარე,
როს ის ბლავილს დაიწყებს,
ინგრევა არე მარე.

თუ რას ამბობს ნუ ჰკითხავთ,
კრიტიკა მას რათ უნდა,
ან და ხალხი სულელი
წყალში დაიხრჩოს თუნდა.

ის ხომ წინამძღოლია.
და როს მოხდება კრება,
რომ ჯანსაღად იმსჯელოს,
ის აღვინაიანდება.

შორს, შორს მისგან ყველა ის
ვინც ყვირილი არ იცის
ეს ხომ ორატორობის
სიმბოლოა ნიჭი ცის.

თვითონ ნეგრისა ტიპის
სახე აქვს შავგვრემანი,
ახალი ფელდშერია
შვილი სახელოვანი.

ჯერ ეს ლექსი უძღვენი
ჯუჯუს საამურადო.
მომავალში ვიმედობ
უკეთ დავასურათო.

ისარი

დაიგერა

ამბავი ორ მოქმედებათ

დექსანდრა	—	—	—27—29 წლისა
გიორგი	—	—	—ამისი ქმარი, მასწავლებელი
ნიკო	—	—	—ამათი ნათლავა, გიორგის თანამოსამსახურე
ბესო	—	—	—გიორგის მეზობელი

სურათი პირველი.

საშუალოთ მორთული ოთახი.

1

ადექსანდრა. მე შეზინა—ვაი თუ გიორგი. ან შენ სადმე სხვაგან გადაგიყვანონ, და ჩვენ ერთმა-ნეთს დაგშორდეთ!

ნიკო. ჰჰ გეკადრება კი ასეთ სისულელეზე გულის ხეთქა? ხვალ რა იქნება,—დღეს იმაზე ფიქრი ვის გაუგონია! ხვალეს ხვალ გავსცეთ პასუხი, დღეს კი დღეით დავსტკებთ, ჩემო ძვირფასო... თუნდაც შენი წინათ-გრძნობა ახდეს,—მერე რა? მე შენ მაინც არ დაგცილდები... ადვილს დაგკარგავ და შენ არ დაგშორდები... მუდამ და ყოველგან შენს ახლოს ხანგრძლივი ვიქნები.—სხვაფერ არც შემიძლია მო-

ვიქცე, განა შენ კი ექვი გეპარება ჩემს გულწრფელ სიყვარულში?

ალექსანდრა. მე ეგ არ მითქვამს... ვერც ვიფიქრებ მაგას.

ნიკო. მაშ უბრალოთ რატ იხეთქ გულს უსაფუძვლო შიშით? თავი თუ არ გებრალემა, მე მაინც შემიბრალე.

ალექსანდრა. რაფერი ხარ, ნიკო, ცოტა რამეს რამოდენათ გაზრდი? ვიხუმრე რაღაც, და შენ კი...

ნიკო. მეშინია, მეშინია, ჩემო ძვირფასო, ნაღველ-ნარევი ხუმრობის მეშინია, — მით უმეტეს, რომ შენ ისეთი სათუთი გული გაქვს...

ალექსანდრა. არა, მე სათუთი და მშინშარა გული არა მაქვს, ჩემო ნიკო, სცდები.

ნიკო. ნეტავ აგრე იყოს.
ალექსანდრა. აგრე მაშ.

ნიკო. სინამდვილე კი წინააღმდეგს გვიჩვენებს, აგერ ერთი წელი გადის მას შემდეგ, რაც ის საწყალი ბავშვი დავკარგეთ, და მას აქეთ გული ვერ დაიმორჩილე, რომ ეგ თაღი ტანისამოსი გაგეხალა.

ალექსანდრა. არ იფიქრო, ნიკო, ეს რვა თვის ბავშვის გლოვა იყოს.

ნიკო. მაშ რა არის?
ალექსანდრა. ქალური ეშმაკობა, რომ უფრო მოხდენილათ დაფაროს მოლაღატე გული...

ნიკო. მესმის, მესმის, კარგი. მესმის...
ალექსანდრა. შვილის სიკვდილი მწარეა, მარა შენი მონათლულის გაზრდას ისევ სიკვდილი მერჩივნა. რაც უნდა იყოს...

ნიკო. მესმის... რა საჭიროა... სხვა რამეზე ვილაპარაკოთ...

ალექსანდრა. მაშ შენ თავს არ დავანებებ?
ნიკო. თუნდ ჯოჯოხეთში მომიხდეს შენთან წამოსვლა?

ალექსანდრა. ჩემო კარგო...
ნიკო. ჩემო გვრიტო. (ერთმანეთს ჩაეკვრებიან).

2

(შემოდის ბესო. ის თვალს შეასწრებს ნიკოსა და ალექსანდრას ალერსს, — მიუხედავათ იმისა, რომ ისინი მსწრაფლ განშორდებიან ერთმანეთს და თავს ისე იტყრენ, თითქოს აქ არაფერია მომხდარაო)

ბესო. სიცოცხლე ალექსანდრას, სიცოცხლე და გამარჯვება აგრეთვე მის ძვირფას ნათლია ნიკოს. (ხელს ართმევს ერთსა და მეორესაც).

ალექსანდრა. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ გიორგი ხომ არსად შეგხვედრია დღეს? ერთობ დივიანა...

ბესო. გიორგი?! რაღა დავიმალოთ, ჩემო კეთილებო! კაცი ყველაფერს უნდა ელოდებ ამ ცოდვილ დროში... სწორეთ საშინელ საუკუნეში ვცხოვრობთ...

ალექსანდრა. რა ამბავია ჩემს თავზე?!
ბესო. ეხ! რომ იცოდებ რა ძნელი სათქმელია... ღმერთო ჩემო, ამას როგორ ვიფიქრებდი...

ალექსანდრა. ჩქარა სთქვი! ლამის არის გადვირილი!
ნიკო. სთქვი, კაცო, ხომ ხედავ ადამიანი თავის ფერზე აღარ არის?

ბესო. გიორგი შანტაყისტებმა გაიტაცეს!
ალექსანდრა. ააახ! (გული შეულონდებო, ნიკო ხელს შეაშველებს და სკამზე დააუდენს).

ნიკო (ბესოს). წყალი მომაწოდე! (ბესო წყლით საცე ტიქას მიაწოდებს. ნიკო ტიქას ტუჩებთან მიუტანს ალექსანდრას და რამდენიმეჯერ მოასმევინებს, თანაც ხელს დაისველებს და შუბლს გაუგრილებს. პაუზა).

ბესო. ძალღონე მოიკრიბე, მლექსანდრა; წამხლარ საქმეს შველის მეტი აღარაფერი გამოაკეთებს. წუწკლებმა, — აი მათი ხსენება მოსპოს მამა ღმერთმა, — კაცი მოგვტაცეს, საცაა სასყიდელსაც მოგვთხოვენ, და მზათ უნდა ვიყოთ.

ალექსანდრა. ღმერთო, რა ვქნა, რა ვქნა?!
ნიკო. მთავრობამ გაიგო?

ბესო. ჯერ არა.
ნიკო. მაშ შევატყობინოთ.

ბესო. სახიფათოა. მთავრობა რომ ძებნას დაუწყებს, შეიძლება მოჰკლან კიდევ. უმჯობესია ჩუმათ გამოსყიდვა.

ალექსანდრა. ნეტავ რამდენს ითხოვენ?
ბესო. პროვინციელი წუწკებია... ორი ათასი მანეთი, მგონი, გვაკმარონ.

ალექსანდრა. ვაი რა ვქნა, ვაი რა ვქნა?!
ბესო. დაყოვნება არ ვარგა; თუ ვერ ვიშოვნოთ, მაშინ ისევ დროიანათ მიემართოთ მთავრობას... მე ეხლა წაფალ და ორას, ან სამას მანეთს მოვიტან; საუბედუროთ — მეტის შოვნა არ შემიძლია. (გადის).

3

ნიკო (დიდი პაუზის შემდეგ). ალექსანდრა! ვაცნობოთ ეს ამბავი მთავრობას!!!

ალექსანდრა. ეგრე რათ მიტკერო?!.

ნიკო. ალექსანდრა! ნუ თუ ჩემს თვალში ვერაფერს კითხულობ?!.

ალექსანდრა. ახ! არა! არა! არ შემიძლია!!.

ნიკო. მაშ თვალთ მაქცი, მატყუარა ყოფილ ხარ... მშვიდობით! (კარებისაკენ მიდის).

ალექსანდრა. ნიკო, ნიკო!..

ნიკო (მობრუნდება). ალექსანდრა, გამიგონე, ალექსანდრა! თვით განგებაც ხელს უწყობს ჩვენს შორის აღმართულ კედლის დანგრევას, და ნუ თუ ჩვენ ეს შემთხვევა ხელიდან უნდა გავუშვათ?

ალექსანდრა. მე აღარაფერი მესმის, აღარაფერი ვიცი (ცახცახებს).

ნიკო. ან ერთი — ან მეორე, ან მე — ან ის!

ალექსანდრა. ნიკო, შემობრალე, ნიკო!..

ნიკო. ერთი და ერთი უსათუოდ უნდა დაგეთმო!

ალექსანდრა. ცოცხალს მივატოვებ... გავიქცეთ, დავიშალოთ...!

ნიკო. რას ამბობ, ალექსანდრა? რას იტყვის საზოგადოება, ხალხი? ხომ საქვეყნოდ თავი მოგვეპრა!

ალექსანდრა. მკვლელობა როგორ ჩავიდინო?

ნიკო. სისულელეა! აბა ვის იფიქრებს, რომ შენ რაიმე ბრალი მიგძღვის? აზრათაც არავის მოუვა.

ალექსანდრა. მაინც, მაინც... ნიკო!.. როგორც აქამდე...!

ნიკო. ეგ შეუძლებელია! ვერ ავიტანე ამდენი მალულობა!

ალექსანდრა. ღმერთო ჩემო! გიორგი...!

ნიკო. კარგი! თუ აგრეა, მშვიდობით! დღე-ღამე ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია... სიკვარულის დამტკიცებაც ასეთი უნდა... ბარაქოლა, ქალო! (ჩქარა ნაბიჯით გასწიქს).

ალექსანდრა. ნიკო!..

ნიკო (კარებთან შეჩერდება) თანახმა ხარ?..

ალექსანდრა. ჰო... (სკამზე მოწყვეთით დაეშვა; ნიკო მივარდება, მის წინ მ, ხლებზე დაეცემა და ხელებს მხურვალეთ უკოცნის).

4

შემოდის ბესო. ნიკო მსწრაფლ წამოიჭრება, მაგ-

რამ მისი მოქმედება შეუმჩნეველი მაინც არ რჩება ბესოს).

ბესო. როგორაა საქმე?

ალექსანდრა. ცუდათ, ძალიან ცუდათ. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერავითარი წყარო ვერ აღმოვაჩინე

ბესო. რა გეწყობა... დროიანათ მაინც გავაგებინოთ მთავრობას.

ნიკო. წავიდე?..

ალექსანდრა. დიდად დამავალებ.

ნიკო. შენ გულს ნუ გაიხეჯე. დარწმუნებული იყავი, რომ მთავრობა იმათ კვალს ადრე მიავნებს, და გიორგიც მალე დაგვიბრუნდება (გადის).

5

ალექსანდრა. ჩემო გიორგი, ჩემო კარგო, სადა ხარ ეხლა?.. ეგებ გზია!.. (ბესო წასვლას დააპირებს) შენ სადღა მიდიხარ, ბესო?

ბესო. ნიკოს მინდა დავეწიო; მუხლის თავზე მტვერი სცხია და მოვწმენდ (ჩქარა გადის ალექსანდრა შემკრთალი მიაჩერდება მის კვალს. პაუზა).

6

(შემოდის ნიკო — გაფითრებული და აღელვებული).

ნიკო. გიორგი აგერ მოდის... გზაში შეშხვდა... არავის არ მოუტაცნია! გიგოს წაუყვანია სადილიათ.

ალექსანდრა. სად არის?

ნიკო. დუქანში მიუხვია თამბაქოსათვის. ჰმ!.. ალექსანდრა, ამ მოტყუოლებს სხვაფერი სუნი უდის! ჩვენ გადაყვან გადმოყვანის კი არ უნდა გვეშინოდეს, აჰამედ მაგ არამზადის... მაგის გადაკრული სიტყვები, — ხომ ატყობ ეს ერთი ხანია, — იმას მოწმობენ, რომ მას ეჭვი აქვს აღებული და ვი თუ გაგვტყავს!.. რამე უნდა ვილოწოთ.

ალექსანდრა. შენ არხიენათ იყავი; ბბერც რომ იყვიროს, ვერაფერს გახდება. დღესვე ისეთ საქმეს ვუზამ, რომ დაბადების დღეს დაეწყველინებ.

7

გიორგი. განა მოგატყუათ იმ არამზადამ? ხა, ხა, ხა...!

ალექსანდრა. მე კი ჩემი დამეპართა და...!

ნიკო. სწორე გითხრა, კაცი კი არა მხეცი არ იკადრებს ასეთს საქმეს! აღამიანი კინაღამ გაათავა. ხუმრობა გამიგონია, მაგრამ ასეთი?

გიორგი. შემდლარა, მაგრამ...

ნიკა. ნახვამდის..

გიორგი. რა გაჩქარებს, კაცო? (ნიკო გადის).

8

გიორგი. ძალიან შეშინდი, ჩემო კარგო?

აღექსანდრა. მკითხავს კიდევ (გული აუჩვილ-ღება).

გიორგი. ნუ, ნუ ტირი, ჩემო ცუქუნია (თავზე აკოცებს, ეალერსება). ჩვენც გადავუხდით სამაგიეროს... კარგი, თუ ღმერთი გწამს! ხო იცი, რომ ეს ცრემლები გულზე ისარივით მეცემიან... კარგი, თუ გიყვარდე. (ხელსახოცი თვალებს უშრალავს).

აღექსანდრა. გიორგი! ბესო დღეს შემდეგ ჩვენსა ვერ უნდა მოვიდეს!

გიორგი. როგორ გეკადრება, ჩემო ანგელოზო, ხუმრობისთვის...

აღექსანდრა. ხუმრობაც არის და ხუმრობაც! ესეც არ იყოს, მე მაინც არ მსურს-- ის შენი მეჭობრის სახით ჩვენსა დადიოდეს... დიდხანია, რაც ვუთმენ, ნამუსს ვუნახავ...
გიორგი. ალექსანდრა!

აღექსანდრა. დიახ, ის მოლაღატეა, რომელმაც დიდი ხანია შენი შეურაცყოფა მოინდომა, მაგრამ ვერ შესძლო და... დღეს ასე გადაიხანდა (ტირი-რილი ერევა).

გიორგი. აღარაფერი მესმის! ნუ თუ ყოველ-ვე ეს მართალია? წყეულო კაცო!.. ალექსანდრა, რატომ ამდენ ხანს არ მითხარი?..

აღექსანდრა. კარგი სათქმელი კია!..

გიორგი. მაპატიე, ალექსანდრა!.. ეშმაკი შე მომეჩვია სახლში... რას ვიფიქრებდი, თუ სინდის-ნამუსის არაფერი გააჩნდა! კარის მეზობელი, ამხანაგი...

აღექსანდრა. კარგი. განა მიტომ გითხარი, რომ გული გაიხეთქო?

გიორგი. თუ ყველაფერის თქმა გიძნელდებო-და, მისი აქ სიარულის აკრძალვა მოგეთხოვა... განა მიზეზს გკითხავდი? შენი სურვილი ჩენთვის ხომ კანონია, ჩემო უდანაშაულოთ დასჯილო მტრედო, ჩემო (ხელზე ჰკოცნის) საუნჯევ!

აღექსანდრა. დღეს შემდეგაც საკმარისია, ჩემო ცხოვრებავ, მაგრამ ერთი რამ უნდა გახსოვდეს: ის ჩემზე ძალიან გულმოსულია და—ვინ იცის—რას არ მომიგონებს...

გიორგი. განა ჩემი ყური რაიმეს მოუსმენს იმ უნამუსოს? ჩემო ალექსანდრა, ჩემო ერთგულო, როგორ დამიტანჯავხარ (ფეხის ხმა მოისმის) აი ისიც მოდის, მგონი.

აღექსანდრა. გიორგი, თუ გიყვარდე, დიდ შეურაცყოფას აქ, ჩვენს ოჯახში ნუ მიაყენებ!..

9

ბესო (შემოიღობარაყებს). მოსულა კიდევ.. ბიქოსი ეგ რა ამბავია? მიწყრებით? შენც გიორგი?

გიორგი. გთხოვ გაბრუნდე და დღეს შემდეგ ჩემს ოჯახში ფეხი აღარ შემოდგა!

ბესო. ჰვავს, —ჩემს ხუმრობას ცუდი ნაყოფი გამოუღია; მე კი მეგონა ნამახარობელს მივიღებდი.

გიორგი. შენ მეგონა, რომ ეგ ხერხი გასჭრი-და და შენს მხეცურ სურვილს სასრულეში მოი-ყვანდი?!

ბესო. ხა; ხა, ხა!.. რა საბრალოა სიყვარულით დაბრმავებული კაცი! ის ყურ-მოჭრილი მონაა სა-ყვარელი არსებისა; საქმის, მოქმედების შეფასების უნარი მას წართმეული აქვს; ყოველივე სიტყვას გულის უფლისა ის ხალას ოკროთ ღებულობს და... ხშირათ მისი სურვილისამებრ საუკეთესო მეგობარს ხელს ჰკრავს, ხოლო ორგულსა და მოლაღატეს ფართეთ გაუღებს სახლის კარებს... მოყვარადაც მო-ძმეს! ასე ამაღლებს სიყვარული ზოგიერთ კაცს, ჩემო გიორგი!..

გიორგი. მე არ მსურს შენს ბოდვას ყური ვუ-გდო; არც პასუხს გთხოვ, ოღონდ წადი!

ბესო. გიორგი, საბრალო გიორგი! ამ წუთში მე არ შევცდები შენ მიერ წამოსროლილ მძიმე ბრალდების უარ ყოფას, დრო და გარემოება ყვე-ლაფერს გამოაჩენს; მხოლოდ იცოდე კი, რომ თავის მართლების დროს მეც ისეთივე უღმობელი ვიქნები, როგორც შენა ხარ აი ამ წუთში. შურს ვიძიებ, და, იცოდე, ეს შურის ძიება მძიმე იქნება!

გიორგი. გთხოვ!..

ბესო. ნახვამდის.

d

(ფ ა რ დ ა).

(დასასრული იქნება)

ვოსტა

ბუტუნას. ლექსი „ვაი ვუის ხმაზე“ ჩვეულებრივ ჩინებული დაწერილია, მაგრამ ამ თემაზე ბევრი ვწერეთ და გვეშინია გადამოღობა არ მოგვივიდეს.

მის. ნინოწმინდელს. თქვენთვისაც უნდა გავიმეოროთ ზემოთე ავისა მოხსენებული, ორივე ლექსი ინახება.


მაშვიკოს. „ქურდი მთხლეზე დაიჭირესო“ ნათქვამია და სწორედ თქვენზე ახლა ეს საბედისწერო

თქმულება. თქვენს ლექსში ერთი ასეთი ტაეზია:

„მზის კრიალმა გაანათა,
გადაფანტა ტას წვედიადი,
მისდა ხაცვლად აწ გვისათებს
სამუდამო განთიადი“.

ეს ტაეზი ეკუთვნის ქ-ნ ქრისტინა დგებუაძი-სას და მოთავსებულია „ქართველი ქალის ხმის“ მეშვიდე ნომერში. თქვე მამაცხონებულო, თუ ქურდობა გინდოდათ რაღა ამ უაზრო ტაეზს სტაეკთ ხელი. ნუ თუ თქვენთვის ძლიერ სანატრელია „სამუდამო განთიადი“? აღარ გინდათ რომ დღე გაგიტენდეს? მაშ დღე ნურც თქვენს ლექსს გაუთენდება ხვალინდელი დღე.

სოც. დემ. კონფერენცია



1) არსაკ ზურაბოვი, 2) პოპოვი, 3) ტერ აბრამიანი.